



საქართველოს კონტროლის პალატა

“გ ა მ ტ კ ი ც ე ზ”

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ბიორბი ალასანია

„17“ ივნისი“ 2012 წელი

ვგზ. N2

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ანგარიში *ა/17/00*

სარჩევი

შესავალი, საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	გვ. 3
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 5
ძირითადი ტექსტი	გვ. 7
1. წლიური ბიუჯეტის დამტკიცების მდგომარეობა	გვ. 7
2. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	გვ. 7
2.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა	გვ. 7
2.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.	გვ. 8
2.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა	გვ. 12
2.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა	გვ. 14
2.5. ფინანსური ანგარიშგების შედგენა და წარდგენა.....	გვ. 15
3. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)	გვ. 16
4. წინა აუდიტით გამოვლენილ მნიშვნელოვან შედეგებსა და კონტროლის პალატის მიერ მიცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა.....	გვ. 17
5. აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაციები.....	გვ. 18
6. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი და ჯგუფის წევრის ხელმოწერა.....	გვ. 18

შესავალი

აუდიტის საფუძველი- საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 26 მარტის N12/39 წერილი.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, 0177, მ.თამარაშვილის ქუჩა N15ა.

აუდიტორი: საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორი ანტონ პარუნაშვილი.

შემოკლებანი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - სამინისტრო;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - მინისტრი;

საქართველოს პარლამენტი - პარლამენტი;

საქართველოს მთავრობა - მთავრობა;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - ხაზინა;

საქართველოს კონტროლის პალატა - კონტროლის პალატა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;

დამატებითი ღირებულების გადასახადი - დღგ.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს სისტემაში შედიოდა 4 ტერიტორიული ორგანო და 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა თემის განვითარების ცენტრი“.

სამინისტროს ფუნქციები და ამოცანები:

საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა; ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა; მიგრანტთა კატეგორიების დადგენა; ლტოლვილთა, დევნილთა და დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ორგანიზება და ხელშეწყობა, სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა; მიგრაციული ნაკადის აღრიცხვა, მართვა და კონტროლი; დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; საერთაშორისო (სამთავრობო და არასამთავრობო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ა.შ.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. სამინისტროს მიერ სხვა ხარჯების მუხლიდან დევნილთა განსახლების ადგილებში ხორციელდება იმ შენობა-ნაგებობების აღდგენითი, გამაგრებითი და სხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და აღრიცხულია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების ბალანსზე.

ზოგიერთი სამუშაო განეკუთვნება კაპიტალურ სამუშაოებს, რომლებიც ექვემდებარება ასახვას არაფინანსური აქტივების მუხლით და, შესაბამისად, მათი ღირებულებით უნდა გაიზარდოს წმინდა ღირებულება, თუმცა, იმის გამო, რომ დაფინანსება ხორციელდება სხვა ხარჯების მუხლიდან, თანხების ჩამოწერა ხდება ხარჯებში. ანალოგიური სიტუაციაა გრანტების დაფინანსებით შექმნილ და შეძენილ ქონებაზე. სულ აღნიშნული თანხებიდან არ იქნა კაპიტალიზირებული 1 444,8 ათასი ლარის ხარჯი.

2. სამინისტროს შვეიცარიის „განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოდან“ გამოეყო გრანტი 176,7 ათასი ლარის ოდენობით, რომლის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს, გრანტის დამტკიცების მიზნით, რაზედაც ფინანსთა სამინისტროდან მიღებულია დასტური.

სამინისტროს მიერ გატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, ხაზინამ ზემოთ აღნიშნული თანხა სამინისტროს დაზუსტებულ გეგმაში არ ასახა, რაც არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N 1000 ბრძანებით დამტკიცებული „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული გრანტების/მიზნობრივი დაფინანსებების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის“ მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის მითხოვნას, რომლის მიხედვით სამინისტროს ბიუჯეტი ექვემდებარებოდა დაზუსტებას 176,7 ათასი ლარით.

3. სამინისტრომ ამ გრანტიდან თანხები აითვისა 85,9 ათასი ლარის ოდენობით, რამაც გამოიწვია დაზუსტებული ასიგნების ფარგლებს ზევით ვალდებულების აღება და გადახდა. სამინისტროსათვის მთლიანად არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადახარჯვამ 39,3 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო სამინისტროს აპარატისათვის კი - 85,8 ათასი ლარი, რაც არ შეესაბამება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას.

4. სამინისტროსათვის გამოყოფილი გრანტებიდან (3 348,0 ათასი ლარი) აუთვისებელია 56,8% (ათვისებულია 1 447,9 ათასი ლარი). აუთვისებლობა ძირითადად მოდის ორ პროექტზე. სსიპ „თემის განვითარების ცენტრის“ მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების პროექტის (WB) ფარგლებში

გამოყოფილი გრანტიდან (1 976,0 ათასი ლარი) აუთვისებელი დარჩა 1 353,5 ათასი ლარი (მთლიანი ასიგნების 68,5 %).

ანალოგიურად, საქართველოში ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული სოფლის მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებზე განსახლებისა და ინტეგრირების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (დონორი შვეიცარიის წარმომადგენელი, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) გამოყოფილი თანხიდან -176,7 ათასი, საანგარიშო პერიოდში ათვისებულია 85,9 ათასი ლარი, ანუ 90,6 ათასი ლარით ნაკლები (48,6 %).

5. სამინისტროს 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე ერიცხებოდა 142,8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. საანგარიშო პერიოდში დებიტორული დავალიანება გაიზრდა 3 518,2 ათასი ლარით და 2012 წლის იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3 661,0 ათას ლარს. 90,7 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2005-2007 წლებში. ამ დავალიანებების სალიკვიდაციოდ არ გატარებულია სათანადო ღონისძიებები, 2011 წელს დავალიანების მქონე ორგანიზაციებთან არ განხორციელებულა მოთხოვნების ინვენტარიზაცია.

6. სამინისტროს 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე ერიცხება 4 662,8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 3 921,7 ათასი ლარის დავალიანება არ იშიფრება წლებისა და ორგანიზაციების მიხედვით.

7. წინა საანგარიშო პერიოდის აუდიტით გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად კონტროლის პალატის რეკომენდაციების ნაწილი არ შესრულებულა.

აუდიტის ანგარიშის ტექსტი

1. წლიური ბიუჯეტის დამტკიცების მდგომარეობა

ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 14 ივლისის წერილის საფუძველზე, 2011 წლისათვის, სამინისტროს დასაქმებულთა რიცხოვნობის და ასიგნების ზღვრული მოცულობა განისაზღვრა, შესაბამისად, 172 ერთეულით და 25300,0 ათასი ლარით.

ფინანსთა სამინისტროში საბიუჯეტო განაცხადი 2010 წლის 30 აგვისტოს გაიგზავნა ამავე პარამეტრებში, ხოლო მთავრობასთან და ფინანსთა სამინისტროსთან გამართული კონსულტაციებისა და ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, 2010 წლის 30 ნოემბერს გაიგზავნა კორექტირებული ვარიანტი, რომლის მიხედვით მოთხოვნილი ასიგნების მოცულობა გაიზარდა 30 375,4 ათას ლარამდე.

სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადი ეფუძნება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების გაანგარიშებებსა და პრიორიტეტების მიხედვით მოთხოვნილი თანხების დასაბუთებებს.

სამინისტროს პრიორიტეტები საანგარიშო პერიოდში:

პრიორიტეტი I	კონფლიქტის რეგიონებში დევნილთა ქონების აღრიცხვა
პროგრამა	"ჩემი სახლი"
პრიორიტეტი II	ლტოლვილთა და დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
პრიორიტეტი III	მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება
პროგრამა	"ხიდი"
პრიორიტეტი IV	მუსლიმანი მესხების რეპატრიაცია
პროგრამა	"რეპატრიაცია"

2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

2.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნება განისაზღვრა 30 375,4 ათასი ლარის ოდენობით. კანონში შეტანილი 3 ცვლილებით ასიგნება გაიზარდა 44 130.2 ათას ლარამდე. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 45 899.3 ათასი ლარი.

სამინისტრო	საბიუჯეტო განაცხადი	დამტკიცებული ბიუჯეტი	ათასი ლარი დაზუსტებული ბიუჯეტი
ხარჯები	30,285.4	40,328.9	42,099.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	90,0	3,801.3	3,800.0

ვალდებულებების კლება	-	-	-
სულ	30,375,4	44,130.2	45,899.3

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების მიხედვით ასიგნებაში მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულია 25 ცვლილება (გადანაწილება), საერთო თანხით 8 899,6 ათასი ლარი, რაც საბოლოოდ დამტკიცებული ასიგნების 20,2%-ია. 7 219,0 ათასი ლარი აისახა დამტკიცებულ ბიუჯეტში. და საბოლოოდ ბიუჯეტში აუსახავი დარჩა 1 680,6 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 3,8 %-ია და შესაბამისობაშია კანონით დადგენილ ფარგლებთან (5%).

თუმცა, საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საბოლოო ცვლილების შეტანამდე (2011 წლის 24 ნოემბერი) ცვლილებები განხორციელებულია 7 993,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც იმ პერიოდისათვის დამტკიცებული ასიგნების (40 708,2 ათასი ლარი) 19,6 %-ია და 14,6 %-ით აღემატება კანონით გათვალისწინებულს. ცვლილებათა დიდი ნაწილი მთავრობის დავალებათა შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

ასიგნების გადანაწილებებზე მოთხოვნებს თან ერთვის სათანადო წერილობითი დასაბუთება, მაგრამ მოთხოვნებში არაა მითითებული, თუ კონკრეტული ცვლილებებიდან გამომდინარე რა აქტივობები აღარ განხორციელდება.

2.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით

2011 წლის საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები:

დასახელება	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ათასი ლარი ფაქტობრივი ხარჯი
სამინისტრო	45 899,3	44 701,5	44478.9	44478.9	38 657,2
ხარჯები	42 039,3	40 862,2	40 639,6	40639,6	38 657,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 800,0	3 839,3	3 839,3	3 839,3	
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-

საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები ორგანიზაციული კოდების მიხედვით:

ორგანიზაციული კოდი	გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ათასი ლარი ფაქტობრივი ხარჯი
34 01	7 932.2	8 000.9	7 946.3	7 946.3	
34 02	411.9	410.4	410.0	410.0	431,3
34 03	23 965.8	23 943.2	23 925.1	23 925.1	23 611,1
34 05	11 021.1	11 016.9	10 995.2	10 995.2	8 620,5
34 06	370.5	364.4	364.4	364.4	376,0
34 07	148.3	142.2	142.1	142.1	141,6

34 08	33.6	33.6	33.6	33.6	33,6
34 09	40.0	40.0	39.8	39.8	39,7
34 10	1 976.0	749.7	622.5	622.5	843,9

საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ბუჯეტი დამტკიცებულს აღემატება 1 769,1 ათასი ლარით, რაც მთლიანად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ (1 899,0 ათასი ლარი) და ფონდში უკან მიბრუნებულ (129,9 ათასი ლარი) თანხებს შორის სხვაობაა.

ხარჯები:

საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯებმა სულ შეადგინა 40 639,6 ათასი ლარი, რაც დაზუსტებულ ბიუჯეტზე (42 099,3 ათასი ლარი) 1 459,7 ათასი ლარით ნაკლებია და მის 96,5-ს შეადგენს. აუთვისებლობა ძირითადად საგრანტო თანხებზე მოდის.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯვის მდგომარეობა ასეთია.

შრომის ანაზღაურება:

შრომის ანაზღაურება	გეგმა	ათასი ლარი			სხვაობა
		ვალდებულება	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	
თანამდებობრივი სარგო	2 538,4	1 686,7	1 686,7	1 686,7	0
პრემია		851,7	851,7	851,7	0
სულ	2 538,4	2 538,4	2 538,4	2 538,4	0

ფაქტობრივად გაწეული 2 538,4 ათასი ლარის ხარჯიდან, თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 686,7 ათას ლარს, პრემია კი 851,7 ათას ლარს, რაც თანამდებობრივი სარგოს 50,5 %-ია. ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული 172 საშტატო ერთეულის ნაცვლად სამინისტროში დასაქმებულია საშუალოდ 150 ერთეული, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 22 ერთეულით ნაკლებია და მის 87,2 %-ია.

საქონელი და მომსახურება:

საქონელი და მომსახურება	გეგმა	ათასი ლარი			
		ვალდებულება	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (5-4)
1	2	3	4	5	6
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	25 155,2	1 167,7	1 167,4	1 167,4	0
მივლინებები		223,2	215,2	215,4	0,2
ოფისის ხარჯები		21 574,7	21 532,7	21 568,0	35,3
წარმომადგენლობითი ხარჯები		31,6	31,1	31,1	0
კვების ხარჯები		0,1	0,1	0,1	0
სამედიცინო ხარჯები		21,7	21,7	21,7	0
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები		0,0	0,0	0,0	0

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა დამოვლა-შენახვის ხარჯები		1 826,7	1 815,0	1 819,7	4,7
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		273,6	273,4	271,4	(2,0)
სულ	25 155,2	25 119,3	25 056,6	25 094,8	38,2

საქონელი და მომსახურების მუხლით დაზუსტებული გეგმა 25 155,2 ათას ლარია, აღებულია ვალდებულება 25 119,3 ათას ლარზე, გადახდა განხორციელდა 25 056,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც დაზუსტებულ გეგმაზე 98,2 ათასი ლარით ნაკლებია და მის 99,6 %-ს შეადგენს. გაწეულია 25 094,8 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი, რაც გადახდას აღემატება 38,2 ათასი ლარით (100,2 %).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 85,6 % (21 532,7 ათასი ლარი) მოდის ოფისის ხარჯზე, რაც ძირითადად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის (ორგანიზაციული კოდი 34 04) ხარჯებია.

	ათასი ლარი
ოფისის ხარჯი სულ	21 532,7
მათ შორის	
ელექტროენერგიის ხარჯი	15 938,2
წყლის ხარჯი	2 011,1
ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	1 007,2
დასუფთავების ხარჯი	1 628,9
კანალიზაციის და ასინილიზაციის ხარჯი	388,3
სხვა მიმდინარე ხარჯი	559

ძირითადი კაპიტალის მოხმარება, სოციალური უზრუნველყოფა, სუბსიდიები და სხვა ხარჯები:

				ათასი ლარი	
ხარჯების დასახელება	გეგმა	ვალდებულება	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (5-4)
1	2	3	4	5	6
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0	0	0	373,3	373,3
სუბსიდიები	1 026,0	355,8	277,4	278,0	0,6
სოციალური უზრუნველყოფა	93,4	82,6	82,6	82,6	0
სხვა ხარჯები	13 286,2	12 766,1	12 684,6	10 290,1	-2 394,5
სულ	14 405,6	13 204,5	13 044,6	11 024,0	-2 020,6
სულ ხარჯები	42 099,3	40 862,2	40,639.6	38,657.2	-1 982.4

სუბსიდიების მუხლით გაწეული ხარჯები (277,4 ათასი ლარი) მთლიანად მოდის იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტზე -WB

(ორგანიზაციული კოდი (34 10 02) და წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ის შენახვის და მიკროპროექტების შედგენის ხარჯებს).

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯებიდან (82,6 ათასი ლარი) დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებების (დეკრეტული, ბიულეტენი და სხვა) ხარჯი 13,7 ათასი ლარია, ხოლო „გლუკის“ პროექტის ფარგლებში ლტოლვილთა სოციალური დახმარების ხარჯი 68,9 ათასი ლარია.

სხვა ხარჯების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 12 684.6 ათას ლარს შეადგენს:

	ათასი ლარი
სხვა ხარჯები სულ	12 684.6
<i>სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი სულ</i>	<i>2 635,9</i>
მათ შორის	
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი	19.9
დასუფთავების მოსაკრებელის ხარჯი	810,2
შემით მომარაგების ხარჯი	700
ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი	1 100,8
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი	4.9
<i>კაპიტალური ხარჯი სულ</i>	<i>10 048,6</i>
მათ შორის	
აზომვითი სამუშაოებისა და საკადასტრო რუკების შედგენის ხარჯი	214,3
სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი	9 834,3

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის არსებული 1 982.4 ათასი ლარის ოდენობის უარყოფითი სხვაობა გამოწვეულია სხვა ხარჯების მუხლში საწვავი შემით დევნილთა მომარაგებისა (339,6 ათასი ლარი) და შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების (2 054,9 ათასი ლარი) განსახორციელებლად წინასწარი გადახდებისა და დანახარჯების კლასიფიკაციის სხვა მუხლებში არსებული მარაგებიდან გაწეული ფაქტობრივი ხარჯების ურთიერთგადახურვის შედეგად.

სამინისტროს მიერ სხვა ხარჯების მუხლიდან დევნილთა განსახლების ადგილებში ხორციელდება იმ შენობა-ნაგებობების აღდგენითი, გამაგრებითი და სხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და აღრიცხულია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების ბალანსზე. ზოგიერთი სამუშაო განეკუთვნება კაპიტალურ სამუშაოებს, რომლებიც ექვემდებარება ასახვას არაფინანსური აქტივების მუხლით და, შესაბამისად, მათი ღირებულებით უნდა გაიზარდოს წმინდა ღირებულება. იმის გამო, რომ დაფინანსება ხორციელდება სხვა ხარჯების მუხლიდან, თანხების ჩამოწერა ხდება ხარჯებში.

გრანტების დაფინანსებით შექმნილი და შეძენილი ძირითადი საშუალებების აღრიცხვის საკითხი მოუწესრიგებელია, რადგან თანხები ჩამოიწერება ხარჯებში

(გადახდა ხდება სხვა ხარჯების მუხლიდან), ხოლო რომელი ორგანიზაციის ბალანსზე უნდა აისახოს ეს ქონება, არაა გადაწყვეტილი.

ორივე შემთხვევაში, აღნიშნული თანხებიდან არ იქნა კაპიტალიზირებული 1444.8 ათასი ლარის ხარჯი.

არაფინანსური აქტივების ზრდა:

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაზუსტებული ასიგნება შეადგენდა 3 800.0 ათას ლარს, ვალდებულებამ, მოთხოვნამ და გადახდამ კი 3 839,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმაზე 39,3 ათასი ლარით მეტია და მის 101,0 %-ს შეადგენს. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

სამინისტროს აპარატის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 413, 0 ათასი ლარი. 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში საბოლოო ცვლილების შემდეგ (2011 წლის 24 ნოემბერი) სამინისტროს, შვეიცარიის „განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოდან“ გამოეყო გრანტი 176,7 ათასი ლარის ოდენობით, რომლის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს, გრანტის დამტკიცების მიზნით, რაზედაც ფინანსთა სამინისტროდან მიღებულია და სტური, თუმცა ხაზინის მიერ ეს თანხა სამინისტროს დაზუსტებულ გეგმაში არ ასახულა. აღნიშნული არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N 1000 ბრძანებით დამტკიცებული „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული გრანტების/მიზნობრივი დაფინანსებების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის“ მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვით სამინისტროს ბიუჯეტი ექვემდებარებოდა დაზუსტებას 176,7 ათასი ლარით.

სამინისტრომ ამ გრანტიდან აითვისა თანხა (85,9 ათასი ლარი), რამაც გამოიწვია დაზუსტებული ასიგნების ფარგლებს ზევით ვალდებულების აღება და გადახდა. მთლიანი სამინისტროსათვის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით უარყოფითი რესურსი შეადგენს 39,3 ათას ლარს, ხოლო სამინისტროს აპარატისათვის კი 85,8 ათას ლარს, რაც არ შეესაბამება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას.

2.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

განკარგულება		თანხა	კოდი	მუხლი	მიზანი	გაბარული თანხა	შენიშვნა
N	თარიღი						
1	2	3	4	5	6	7	8
1267	14.06	340 000	34 03	საქონ. და მომსახ.	წყალმომარაგების ტარიფებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გაზრდილი ტარიფის 2011 წლის 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე სხვაობის სრულად ანაზღაურების მიზნით	324 777	სხვაობა დაბრუნდა ფონდში
		80 000		სხვა ხარჯები		78 734	სხვაობა დაბრუნდა ფონდში
1300	21.06	599 443	34 05	სხვა	სსიპ – პროფესიული კოლეჯი	564 418	სხვაობა

				ხარჯები	"იკაროსის" სარგებლობაში არსებულ შენობაში დროებით განთავსებული მოსახლეობის 2010 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში მოხმარებული ელენერგიის ღირებულების ანაზღაურების მიზნით		დაბრუნდა ფონდში
1337	27.06	500 000	34 05	სხვა ხარჯები	მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება	421 627	სხვაობა დაბრუნდა ფონდში
868	02.12	79 596	34 05	სხვა ხარჯები	დევენილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ასანაზღაურებლად	79 596	სხვაობა დაბრუნდა ფონდში
2353	12.12	275 000	34 03	საქონ.და მომსახ.	დევენილთა მიერმოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების მიზნით	263 600	სხვაობა 11 400 ლარი
		25 000		სხვა ხარჯები	თბილისში, გუდამაყრის ქ. N2/4-ში (ნევროლოგიის ინსტიტუტი) მდებარე 3 სართულიანი შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებულ ფართობზე ელექტრომომარაგების სამუშაოების განხორციელებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვისთვის.	21 257	სხვაობა 3 743 ლარი
ჯამი		1 899 039,0				1 754 009	

სამინისტროს 2011 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სულ გამოეყო 3 559,3 ათასი ლარი, საიდანაც დამტკიცებულ ბიუჯეტში აისახა 1660,3 ათასი ლარი. დარჩენილი 1 899,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 1 754,0 ათასი ლარი. სხვაობა 145,0 ათასი ლარია, სადანაც 129,9 ათასი ლარი დაბრუნებულია ბიუჯეტში, ხოლო 15,1 ათასი ლარი დარჩენილია რესურსის სახით.

2.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

გრანტის დასახელება	დონორი	მიზნობრიობა	ნაშთი წლის დასაწყ	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	სხვაობა	დაბრუნებ. თანხა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
ლტოლვილები და თავშესაფარის მაძიებლები	გაეროს ლტოლ. უმაღლესი კომისარიატი	დევენილთა სამართლებრივი დაცვა და სხვა გადაწყვეტილებები	0	329985	327985	2000	2000	2000 ლარიდან 2012 წელს ათვისებულია 486 ლარი თანახმად ხელშეკრულებ.
დასახელების გარეშე	თურქეთის საელჩო	რეპატრიანტთა აპლიკაციების დამუშავება	0	18000	18000	0	0	

სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება. სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გაზიარება.	გაეროს ლტოლ. უმაღლესი კომისარიატი	სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება. სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გაზიარება.	5 561,72	5561,7	5434,8	126,9	126,9	ტრენინგის ხარჯი
			0	814500	460070,2 352900	1529,8	1529,8	პროექტის განმახორციელებელთა ხარჯები დევენილთა თვის 21 სახლის შეძენა
ხობის რეგიონში დევნილი ოჯახების ინტეგრაციის ღონისძიებები	სლოვაკეთის ოფიციალური განვით. სააგენტო	ხობის რეგიონში დევნილი ოჯახების ინტეგრაციის ღონისძიებები	0	27297,5	27297,5	0	0	პროექტის კოორდინატორთა ხელფასები
ბუნებრივი კატასტროფ. დაზარალებული სოფლის მოსახლეობის განსახლება	შვეიცარიის განვითარების სა და თანამშ. სააგენტო	ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული სოფლის მოსახლეობის განსახლება	0	176650	85900	90750		შეძენილი სახლები. პროექტი გრძელდება. რესურსის ათვისება დაგეგმილია 2012 წელში
იძულებით გადაადგილებულ პირთა თამის განვითარების პროექტი	მსოფლიო ბანკი (WB)	თემის საცხოვრებლ. პირობების გაუმჯობეს., სოციალური ადაპტაცია, ინფრასტრ. განვითარება, სამინისტროს შესაძლებლ. გაძლიერება	0	1976000	622483	1353517		პროექტი გრძელდება. დარჩენილი რესურსის ათვისება დაგეგმილია 2012 წელში
ჯამი			5561,72	3347994,2	1900070,5	1447926,7		

საანგარიშო პერიოდში სამინისტროსათვის გამოყოფილი გრანტების მთლიანი მოცულობა შეადგენდა 3 348,0 ათას ლარს, რაზედაც გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები. საკასო ხარჯი შეადგენს 1 900,1 ათასი ლარს, რაც გამოყოფილ თანხაზე 1 447,9 ათასი ლარით ნაკლებია და მის 56,8 %-ს შეადგენს. ათვისებლობა ძირითადად მოდის შემდეგ საგრანტო პროექტებზე:

1. იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების პროექტის (WB) ფარგლებში გამოყოფილი თანხა შეადგენდა 1 976,0 ათას ლარს. პროექტის განმახორციელებელია სსიპ "თემის განვითარების ცენტრი".

ფაქტობრივად ათვისებულია მხოლოდ 622,5 ათასი ლარი. მათ შორის, 135,1 ათასი ლარი გახარჯულია სსიპ-ის მიმდინარე ხარჯებისათვის, 126,1 ათასი ლარი - თემის მობილიზაციის, 16,2 ათასი ლარი - სამინისტროს თანამშრომელთა ტრენინგების, 3,5 ათასი ლარი - ინვენტარისა და არამატერიალური ფასეულობის შეძენის და 341,5 ათასი ლარი (მთლიანი ხარჯის 54,8 %) მიკროპროექტების განხორციელების ხარჯებია.

პროექტი ითვალისწინებს დევნილთა თემის განვითარება-გაძლიერებას სათემო მიკრო-პროექტების შექმნისა და განხორციელების გზით. წარმოდგენილი

ინფორმაციის თანახმად, განხორციელდა 12 მცირე პროექტი, თანხით 341,5 ათასი ლარი.

სხვაობა დაგეგმილ ბიუჯეტსა და ათვისებას შორის გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

თითო თემის პროექტზე გამოსაყოფი დასაფინანსებელი თანხის ზღვრული მოცულობა, საგრანტო ხელშეკრულებისა და პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოს მიხედვით, შეზღუდულია; აგრეთვე შეზღუდულია შესყიდვის მეთოდები (დაშვებულია „შოპინგი“, ანუ ტენდერი ჩაითვლება ჩატარებულად მხოლოდ სამი წინადადების არსებობის შემთხვევაში); პროექტში არ იყო გათვალისწინებული დიზაინისა და საექსპერტიზო მომსახურების ხარჯები, რამაც შეაფერხა დევნილთა თემიდან შემოსული პროექტების განხორციელების დაწყება; სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერების კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი იყო რეგიონული სამმართველოებისათვის „ორის მენეჯერის“ სისტემის შესყიდვა და ჩართვა, რომელიც ვერ განხორციელდა შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების არქონის გამო და სხვ.

თუმცა, აღნიშნული გარემოებები ყველა შემთხვევაში ხელშემშლელი არ არის. საანგარიშო პერიოდში ტენდერი ჩატარდა 14 მიკროპროექტზე. 2 მათგანი ჩაიშალა სავარაუდო ღირებულების საბაზრო ფასებთან შეუსაბამობის გამო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ზოგი პროექტი არ არის შედგენილი სათანადო დონეზე. 2010 წელს კი შერჩეული იყო 21 მიკროპროექტი, ხოლო 2011 წელს დაემატა 20 ახალი მიკროპროექტი.

2.5. ფინანსური ანგარიშგების შედგენა და წარდგენა

ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ანგარიშგებების შემოწმებით გამოვლინდა, რომ ბალანსის დანართ ფორმა N2-ში ფაქტობრივი ხარჯების ჯამი, ნაცვლად 38 657,2 ათასი ლარისა დაფიქსირებულია 38 536,8 ათასი ლარი, ანუ 120,4 ათასი ლარით ნაკლები, რაც გამოწვეულია შეცდომით, თუმცა ამ გარემოებას გავლენა არ მოუხდენია წმინდა ღირებულების მოცულობაზე და შესაბამისად სამინისტროს საბალანსო მონაცემებზე.

3. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ:

შეგარიძის (ოპერატიული) აქტივების სახელმწიფო მფლობელობაში											ათასი ლარი		
N	არაფინანსურ აქტივების დასახელება	ნაშთი 01.01.10-ის მდგომარეობით	მიღება					გასვლა					ნაშთი 01.01.11-ის მდგომარეობით
			შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო თვითმმართველობისგან	გრანტით	სუბსიდიები	სხვა ეკონომიკ. ნაკად.	გაყიდვები	იმავე დონის სახელმწიფო თვითმმართველობისგან	სხვა ეკონომიკ. ნაკად.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქ. და მომს. მუხლით ხარჯში ასახული მარაგები	

1	შენობა-ნაგებობები	24 008,6	764,2	45,0							187,4		24 630,4
2	სატრანსპორტო საშუალებები	516,2	27,4	84,3	33,3		1,0	17,7	28,7	5,3	70,2		540,3
3	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	728,1	12,8		25,8			0,1			106,9		659,7
4	არამატერიალური ძირითადი აქტივები	81,2	12,5		3,4						8,8		88,3
5	დაუმთავრებელი მშენებლობა	0	1 923,9										1 923,9
	სულ ძირითადი აქტივები	25334,1	2740,8	129,3	62,5		1,0	17,8	28,7	5,3	373,3		27842,6
6	მატერიალური მარაგები	171,0	561,0		1,8	17,5						569,6	146,9
7	არაწარმოებული აქტივები (მიწა)	0			57,4								57,4
სულ ჯამი		25 505,1	3 301,9	129,3	121,7	17,5	1	17,8	28,7	5,3	373,3	569,6	28081,7

ხაზინის მონაცემების მიხედვით, არაფინანსური აქტივების მუხლით გადახდა განხორციელდა 3 839,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშის (ბალანსის დანართი - ფორმა №5) მიხედვით შესყიდულია 2 740,9 ათასი ლარის,, მათ შორის 14,4 ათასი ლარი ჩათვლილია მიმწოდებელზე გადაცემული ავტომანქანის ღირებულების ანგარიშში და 2012 წლის 1 იანვრისათვის არაფინანსური აქტივების მუხლით დებიტორული დავალიანება შეადგენს 1 112,8 ათას ლარს.

დებიტორული დავალიანებები:

სამინისტროს ბალანსზე 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 142,8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რაც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 3 518,2 ათასი ლარით და 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3 661,0 ათას ლარს, სიდანაც 90,7 ათასი ლარი წარმოშობილია 2005-2007 წლებში, რომელთა მიმართ 2011 წელს არაა ჩატარებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებით¹ გათვალისწინებული მოთხოვნების ინვენტარიზაცია და შედარებები. 3 561,1 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2011 წელს, რაც ძირითადად წლის ბოლოს განხორციელებული წინასწარი გადახდებითაა გამოწვეული.

დიდი დავალიანებები ერიცხებათ: 339,6 ათასი ლარი შ.პ.ს. „კორმჰაუსს“ – საწვავი შეშით დევნილთა მომარაგებისათვის, 1 233,0 ათასი ლარი – შპს „მონოლითმშენს“, 835,6 ათასი ლარი – შპს „სენს“ და 40,0 ათასი ლარი შპს „ატრიუმს“ – დევნილთა განსახლების ადგილებში შენობა-ნაგებობათა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, 1 112,8 ათასი ლარი შპს „ტრანსმშენს“-ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის.

¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულება.

კრედიტორული დავალიანებები:

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ერიცხებოდა 4 634,8 ათასი ლარის, ხოლო 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი 4 662,8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. დავალიანება გაზრდილია 28,0 ათასი ლარით, რაც სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას სსიპ „დევენილთა განვითარების ცენტრის“ დავალიანებაა 6 სხვადასხვა მომწოდებელი ორგანიზაციის მიმართ. კრედიტორულ დავალიანებაში აღირიცხება 3 921,7 ათასი ლარის წლების და ორგანიზაციების მიხედვით გაუშიფრავი კრედიტორული დავალიანება, რაც მთლიანი დავალიანების 84,1 %-ია.

4. წინა აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებზე და კონტროლის პალატის მიერ მიცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა:

1. 2010 წელს სსიპ „თემის განვითარების ცენტრის“ მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა განვითარების პროექტის (WB) ფარგლებში გამოყოფილი გრანტიდან (957,2 ათასი ლარი) აუთვისებელი დარჩა 650,4 ათასი ლარი, ანუ მთლიანი ასიგნების 67,9 %.

2011 წელს პროექტის ფარგლებში აუთვისებლობის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 0.6 %-ით და 68,5 % შეადგინა. ამასთან, გრანტით გამოყოფილი თანხის (1 976,0 ათასი ლარი) ზრდის პროპორციულად გაიზარდა აუთვისებელი თანხის მოცულობაც (1 353,5 ათასი ლარი).

2. 2010 წელს დავის საგანს წარმოადგენდა GTZ-ს მიერ 2008-2010 წლებში ბიუჯეტში დღგ-ს სახით გადახდილი 58,8 ათასი ლარის უკან დაბრუნების საკითხი, რაც საგრანტო ხელშეკრულებით იყო სათვალისწინებელი.

2011 წელს აღნიშნული საკითხი საანგარიშო პერიოდში მოუწესრიგებელი დარჩა, თუმცა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევის შემდეგ გადაწყდა თანხის უკან დაბრუნების საკითხი, რისთვისაც სამინისტროს 2012 წელს ფინანსთა სამინისტრომ გამოუყო საჭირო თანხები და მიმდინარეობს თანხის დაბრუნების სათანადო პროცედურები.

3. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე ერიცხება 142,8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც 90,7 ათასი ლარი წარმოშობილია 2005-2007 წლებში. ამასთან აღნიშნული დავალიანებების სალიკვიდაციოდ არასაკმარისი ღონისძიებებია გატარებული, 2011 წელს დავალიანების მქონე ორგანიზაციებთან არაა ჩატარებული მოთხოვნების ინვენტარიზაცია.

4. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე ერიცხება 4,634.8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 3,921.7 ათასი ლარის დავალიანება არ იშიფრება წლებისა და ორგანიზაციების მიხედვით.

2011 წელს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მიმართ არსებული მდგომარეობა უცვლელია.

5. რეკომენდაციები

სამინისტრომ:

1. ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა მოსალოდნელი ხარჯის გაწევის აუცილებლობის საკითხი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხშირი და მოცულობითი ცვლილებების, განსაკუთრებით, დევნილთა შენახვის ხარჯებთან მიმართებაში;

2. ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დროულად და სრულყოფილად მოახდინოს გრანტების დამტკიცება და შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე ხარჯთაღრიცხვების დაზუსტება შემდგომი შეუსაბამოების თავიდან აცილების მიზნით;

3. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებთან კონსულტაციების გზით გადაწყვიტოს ბიუჯეტისა და გრანტების დაფინანსებით შექმნილი და შეძენილი ძირითადი აქტივების აღრიცხვისა და შესაბამისი უწყებებზე მათი გადაცემის საკითხი;

4. სამინისტრომ უზრუნველყოს კლასიფიკაციის შინაარსის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში სამართლიანად ასახვა და უკეთესი აღქმადობა ოფისის ხარჯებთან მიმართებაში, რომ კლასიფიკაცია სწორად ასახავდეს ორგანიზებულად დასახლების ადგილებზე ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯების ბუნებას.

5. გაატაროს ქმედითი ღონისძიებები გრანტებით გამოყოფილი თანხების დროულად და სრულად ათვისებისათვის, რაც ხელს შეუწყობს დევნილთა და ლტოლვილთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას.

6. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს ვალდებულებებისა და მოთხოვნების ინვენტარიზაცია, დებიტორებთან და კრედიტორებთან შეადგინოს შედარების აქტები, გაატაროს საჭირო ღონისძიებები დავალიანებების სალიკვიდაციოდ, განსაკუთრებით ხანდაზმულ დავალიანებებთან მიმართებაში.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

აუდიტორის ხელმოწერა:

აუდიტორი
ნინო ყიფიანი


ხელმოწერა 1705.2012
თარიღი